განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

არქიტექტურა, ბაკალავრიატი

სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი:

26 ნოემბერი, 2020

დასკვნის წარდგენის თარიღი:

8 იანვარი, 2021 წელი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245628496
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქიტექტურა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელიკვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	არქიტექტურის ბაკალავრი, Bachelor of Architecture, 0731
სწავლების ენა	ქართული
კრედიტებისრაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ ხიმშიაშვილი, სსიპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ალექსანდრე წაქაძე, სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვახტანგ ბალავაძე, სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მეშველიანი, სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სრული სააკრედიტაციო შეფასების გადაწყვეტილება, ეფუძნება აკრედიტაციის საბჭოს შუამდგომლობას N1011912 20|10|2020. პროგრამა შედგება 240 კრედიტისაგან, რომელიც ძველი კლასიფიკატორის მიხედვით – არქიტექტურა 1101 – ანიჭებდა სტუდენტს არქიტექტურის ბაკალავრის კვალიფიკაციას. მოცემულ მომენტში, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის თანახმად არქიტექტურის ბაკალავრის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება 0731-ით.

პროგრამას აკრედიტაცია მინიჭებული აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2013 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით (ოქმი N16). საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 03 დეკემბრის N223 გადაწყვეტილებით კი არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 1 წლის ვადით.

სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულია 240 კრედიტი: 1 კრედიტის მოცულობა – 25 სთ. ძირითადი სასწავლო კურსები – 200 კრედიტი; საუნივერსიტეტო სავალდებულო საგნები – 15; არჩევითი ბლოკები/კურსები – 25 კრედიტი; სწავლება 8 სემესტრი. 1 სემესტრი – 15 სასწავლო კვირა; 4 სასესიო კვირა. პროგრამა ქართულ ენოვანია. პროგრამაში დადგენილია მასზე დაშვების წინაპირობები, სწავლების ფორმები და წარმოდგენილია პერსონალის შესახებ დოკუმენტაცია, რომელიც ახორციელებს პროგრამის მიხედვით სტუდენტთა სწავლებას. განსაზღვრულია სწავლის მიზნები და მათი მიღწევის საშუალებები.

პროგრამის თანმხლები წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულად მოიცავს საჭირო ინფორამციას და ებმის ერთმანეთს. ინტერვიუების დროს გამოჩნდა ხელმძღვანელობის, პერსონალის, სტუდენტთა და კურსდათმთავრებულთა ჩართულობა და დაინტერესებულობა პროგრამის როგორც დამუშავების პროცესში ასევე მის განხორციელებაშიც.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

„აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში ვიზიტის შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 30 ოქტომბრის №MES 7

20 0001054514 ბრძანებით შექმნილი იქნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელთაც დაევალათ „არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები განახორციელოს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით (კერძოდ პლატფორმა ZOOM-ის საშუალებით). საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეფასება განხორციელდა 2020 წლის 26 ნოემბერს. ექსპერტთა ჯგუფს თავმჯდომარეობდა სსიპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიდან თინათინ ხიმშიაშვილი, ხოლო აკრედიტაციის ცენტრიდან პროცესზე მივლენილი იყო უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი თორნიკე ბაქაქური.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებისას განხილულ იქნა სასწავლო პროგრამა და მასთან ერთად წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი, დაისვა კითხვები და განხილულ იქნა სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთაც თავი იჩინეს დოკუმენტებთან მუშაობისა და დისტანციული შეხვედრის დროს. კერძოდ:

- არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსების სილაბუსების;
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის; CV-ების, რომელშიც მითითებულია ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი/ შესაბამისი აქტივობები, რითაც დასტურდება პერსონალის დარგობრივი კომპეტენციები.
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი საგნ ის/საგნების მითითებით.
- ინფორმაცია დარგობრივი სასწავლო კურსების განხორციელების სტუდიური სწავლების ფორმის შესახებ.
- სააკრედიტაციო პერიოდში პროგრამების შიდა და გარე ხარისხის
- შეფასების შედეგების ანალიზის დოკუმენტი;
- სააკრედიტაციო პერიოდში პროგრამაში შესული ცვლილებების შეტანის ამსახველი დოკუმენტი/დოკუმენტები.

პროგრამის შეფასებისას – აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან

შესაბამისობის დადგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა ძირითადი ყურადღება გაამახვილა იმ საკითხებზე, რომელთა შესახებ პირვანდელ აკრედიტაციის დასკვნაში იყო რეკომენდაციები გაწერილი და ასევე, საბჭოს მიერ მოცემულ მითითებებზე.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა, შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას.

ზოგადად პროგრამა აკმაყოფილებს აკრედიტაციის შესაბამის სტანდარტებს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის. კერძოდ:

ექსპერტთა გადაწყვეტილებით და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ:

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
   1.1. პროგრამის მიზნები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
   1.2. პროგრამის სწავლის შედეგები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2. **სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
   2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
   2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
   2.3. სასწავლო კურსი - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
   2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
   2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
   2.6. სტუდენტების შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
3. **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
   3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
4. **სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
   4.1. ადამიანური რესურსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
   4.2. აკადემიური, სამეცნიერი და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

4.3. მატერიალური რესურსი - პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინასური მდგრადობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

5. **სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

5.1. შიდა ხარისხის შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

5.2. გარე ხარისხის შეფასება - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

5.3. პროგრამის მონოტორინგი და პერიოდული შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები.**

- პროგრამის მიზნებში გამოსაკვეთია ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით სტუდენტთა ხელშეწყობა;
- სასურველია სპეციალობის ძირითად კურსებს დაემატოს არჩევითი დისციპლინა: არქიტექტურული ფოტოგრაფია;
- რეკომენდებულია სილაბუსებში ძირითადი და დამხმარე ლიტერატურას დაემატოს თანამედროვე ლიტერატურა;
- სასურველია სპეციალობის ძირითად კურსებს დაემატოს არჩევითი დისციპლინა: არქიტექტურული ფოტოგრაფია.
- პროგრამის კურიკულუმის თავში მოცემულია კრედიტების შემდეგი გადანაწილება: 200 დარგობრივი, 25 არჩევითი და 15 საუნივერსიტეტო სავალდებულო; თუმცა, კურიკულუმის ბოლო გვერდებზე თუ საგნობრივ საკრედიტო რუკაში წარმოდგენილ სასწავლო კურსების მონაცემებს დავაჯამეთ, აღმოჩნდება, რომ 207 კრედიტი დარგობრივზე მოდის, 13 საუნივერსიტეტო და 20 არჩევით კურსებზე, რაც არ არის ურთიერთ შესაბამისობაში (აქვე ავღნიშნავთ, რომ პროგრამის ბოლოს რუკაში მიოთითებული ციფრი „200“ არ შეესაბამება სასწავლო კურსების მიხედვით დაგროვილ კრედიტების ჯამს, რაც შეადგენს „207“-ს);
- „ფერთმცოდნეობის“ სასწავლო კურსი კურიკულუმში მოხსენიებულია ძირითად ბლოკში, ხოლო უშუალოდ სილაბუსში წერია, რომ შედის „საფაკულტეტო სავალდებულო“ ბლოკში;
- სილაბუსებში არის შემთხვევები, როდესაც მოძველებული არაქართულენოვანი, კერძოდ კი რუსული ლიტერატურაა მითითებული ძირითად ნაწილში. რუსული ენის

ცოდნის მოთხოვნა და ასევე სწავლება არ ჩანს პროგრამაში. უკეთესი იქნება მსგავსი ლიტერატურა გამოყენებული იქნას დამხმარედ ხოლო ძირითადი ლიტერატურა განახლდეს;

- გასათვალისწინებელია წინა აკრედიტაციის მიერ გაცემული რეკომენდაცია და მოსაყვანია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი აღწერით ნაწილში წარმოდგენილის შესაბამისობაში;
- ინგლისური ენის შემსწავლელი სასწავლო კურსებში ლიტერატურა უნდა მოვიდეს სწავლების დონესთან შესაბამისობაში და განსაზღვრული უნდა იქნას წინაპირობებ.
- პროფესიული განვითარის პროექტებში აუცილებელია მსგავს პროექტებში სრულად ჩართული იყოს აკადემიური პერსონალი.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- საერთაშორისო თანამშრომლობის გაღმავება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- პროგრამის დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ის გარემოება, რომ მესამე სემესტრიდან სტუდენტები იწყებენ ინდივიდუალური არქიტექტურული პროექტის შესრულებას.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის ხელმძღვანელის პოზიციაზე დანიშნული მაღალი კომპეტენციის მქონე პირი ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული ცვლილებების შესახებ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ ანგარიშს - არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ. კერძოდ:

1. შეიცვალა საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და შემდეგნაირად ჩამოყალიბდა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და უცხო ენა. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. კანონმდებლობით

გათვალისწინებულ შემთხვევებში ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, შიდა ტური ხატვა შეიცვალა ხაზვით.

2. პროგრამის განმახორციელებლები აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციით, ასევე დარგობრივი მახასიათებელის გათვალისწინებით სტუდიურ სწავლების ფორმაზე გადავიდნენ და შესაბამისი შემოქმედებითი სახელოსნოები/სტუდიები შექმნეს.
3. ლექტორების ცვლილებები: მიმართულების ხემძღვანელი შეიცვალა, მაღალ კვალიფიცირებული სამი ხემძღვანელით მოხდა ლექტორთა ცვლილება.
4. ლალი გერსამია შეიცვალა – გიორგი რამიშვილი, ზვიად ბურჭულადძე, ბექა თოიძე. (მიმართულების ხელმძღვანელებად).
5. სილაბუსები მთლიანად შეიცვალა. რეკომინდირებული ევრო-დირექტივა 2005-36-ს მოთხოვნებით, რეკომენდაციაში გათვალისწინებული საგნები დაემატა , დაემატა დანართები.
6. პერსონალის კვალიფიკაციის დონე ამაღლებულია, ჩატარებული ყოველ კვირეული ტრენინგებით.
7. პროგრამში ასახულია რეკომინდირებული ევრო-დირექტივა 2005-36-ს მოთხოვნები და რეკომენდაციები.
8. გაძლიერდა ტექნიკური და საინჟინრო ნაწილი (ხატვის და ფერწერის ხარჯზე.)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის გაცხადებული მისიაა მოამზადოს თეორიული და პრაქტიკული ცოდნით, ადამიანური ღირებულებებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური კურსდამთავრებულები, რომლებიც მოწოდებულები იქნებიან მუდმივად აიმაღლონ განათლების დონე, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ დემოკრატიულ სამოქალაქო საზოგადოებაში. უნივერსიტეტი აცნობიერებს საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას და მიზნად ისახავს, თავისი საქმიანობით წვლილი შეიტანოს ქალაქის, რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის განვითარებაში. ამ მიზნით იგი უზრუნველყოფს უწყვეტი განათლების პროგრამებისა და სერვისების მიწოდებას, ახალი ცოდნის შექმნა-გავრცელებასა და ჩართულია საზოგადოებრივი პოლიტიკის ფორმირების პროცესში. პროგრამის განმახორციელებლების გადაწყვეტილებით არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სახვით, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტზე.პროგრამის ავტორთა აზრით, უნივერსიტეტში სტუდენტების მიერ შეძენილი უნარჩვევები გულისხმობს საპროექტო არეალის მახასიათებლების განსაზღვრის, ესკიზებისა და არსებული სამშენებლო ნორმატივების გამოყენებით პროფესიონალური არქიტექტურული პროექტების კეთების უნარს, არქიტექტორის პროფესიისათვის აუცილებელი საფუძვლიანი თეორიული ცოდნითა და უნარჩვევებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას, რაც არის პროგრამის მიზანიც და იგი

შეესაბამება ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მისიას.

ექსპერტთა ჯგუფის აზრით, პროგრამის მიზნები არის მიღწევადი აღნიშნული პროგრამის შენაარსის გათვალისწინებით, რომ კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა აქვთ დასაქმდნენ როგორც კერძო, ისე საჯარო ორგანიზაციაში არქიტექტურულ სექტორში (არქიტექტურულ-დიზაინერულ სტუდიებში, სამშენებლო კომპანიებში, უძრავი ქონების სააგენტოებში, მუნიციპალიტეტებში), სხვადასხვა ბიზნეს გაერთიანებებსა თუ საჯარო დაწესებულებებში. დასაქმების სფერო შეიძლება იყოს: არქიტექტურული პროექტირება, ქალაქგეგმარება, კონსულტაცია, პროექტის მართვა და სხვა მონათესავე მიმართულებები.

პროგრამით გათვალისწინებული მიზნები შეესაბამება არქიტექტურული მუშაობის კონცეფციას და სრულად მოიცავს არქიტექტურთათვის საჭირო ცოდნას.

პროგრამით გათვალისწინებული მიზნები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ და ლაკონურად რაც იძლევა საშუალებას მარტივად იქნას აღქმული თუ რა მოლოდინები უნდა ქონდეს სტუდენტს განსახილველი სასწავლო პროგრამის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ მიზნებში არ იკვეთება ინტერნაციონალიციის საკითხები, რაც წინა აკრედიტაციისას ერთ-ერთ რეკომენდაციას წარმოადგენდა. ის უფრო ორიენტირებულია ადგილობრივ ბაზარზე.

ავტორთა აზრით, პროგრამა სტუდენტს პროფესიული ჩამოყალიბების, ზრდის და განვითარების საშუალებას აძლევს. ამით, მას შუძლია თვითონ შექმნას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საკუთარი პროფილი, პროფესიული ინტერესებიდან გამომდინარე.

საგულისხმოა, რომ გათვალისწინებულ იქნა წინა აკრედიტაციის დროს ექსპერტთა ჯგუფის პროგრამში ასახულია რეკომინდირებული ევრო-დირექტივა 2005-36-ს მოთხოვნები და რეკომენდაციები.

აკრედიტაციის ჯგუფის აზრით, წარმოდგენილი პროგრამა მისი შინაარსით – სასწავლო კურსებით, სწავლების მეთოდებით და კრედიტების მოცულობით – უზრუნველყოფს გაცხადებული სწავლის შედეგების მიღწევას კურსების შინაარსის, კრედიტების რაოდენობისა და სწავლების მეთოდების გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა
- უსდ მისია
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა
- ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა

რეკომენდაციები: - პროგრამის მიზნებში გამოსაკვეთია ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით სტუდენტთა ხელშეწყობა;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სწავლის შედეგები პროგრამის განმახორციელებელთა აზრით, მოწოდებული თეორიული ცოდნით, მისი ღრმად გააზრებით, უზრუნველყოფს მეცნიერულად დადასტურებული გადაწყვეტილებების მიღებას, რაც აუცილებელია თანამედროვე, ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების სწავლის შემდგომი საფეხურის განათლების მისაღებად. შესაბამისად, პროგრამის კურსდამთავრებულთა პრაქტიკული უნარჩვევები უზრუნველყოფენ, დასაქმების შემთხვევაში, სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების უნარს, კომუნიკაციის უნარს, კოლეგებთან კომუნიკაციის უნარს და უწყვეტი განათლებისათვის აუცილებელ, დამოუკიდებელი მუშაობის უნარს. პროგრამის სწავლის შედეგების და ამ შედეგებისათვის რელევანტური მეთოდების დანერგვის მცდელობას აღწერს ის განხორციელებული ცვლილებები, რომელიც მოცემულია დამადასტურებელი ოქმებით ცვლილებების შესახებ. მაგალითად, ისევ სტუდიურ სწავლის ფორმას მოვიყვანთ, სადაც პროგრამის კოორდინატორის მიერ ხაზი გაესვა სტუდიური სწავლების დადებით როლს არქიტექტურული განათლების პროცესში და წარმოდგენილი აქვთ

ფოტოდოკუმენტური მასალა ინფრასტრუქტურის შემოქმედებითი პროცესისათვის ადაპტაციისა.

არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოთვლილია იმ ასპექტის გამოყენებით, რომელთა თანახმადაც, კურსდამთავრებულები მიიღებენ ,,ფართო ცოდნას", ან მათ ,,უნდა შეეძლოთ" მიიღონ ეს ცოდნა. შედეგების საერთო სიიდან ზოგი მათგანი უკავშირდება ზოგადი განათლებისა და ეთიკის ფართო ცოდნას; ზოგში ხაზგასმულია არქიტექტურისათვის საჭირო სხვადასხვა შედეგი, ხაზგასმულია, (მაგ: შეეძლება გუნდში თანამშომლობასა და ჩართულობაზე დამყარებული ეფექტური მოქმედება და პროცესების მართვა) სასწავლო პროგრამის გავლის შემდგომ მიღებული სწავლის შედგები შეესაბამება პროგრამით წარმოდგენილ მიზნებს. ისინი აგრეთვე ლოგიკურ კავშირშია კრედიტაციისთვის წარმოდგენილ პროგრამასა და მის სილაბუსებთან, რაც თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი პროგრამის კურიკულუმის პროგრამის სწავლების შედგების რუკით. შედეგები შეესაბამება არქიტექტურის დარგობრივ მახასიათებლებს.

არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების ხელშეწყობისათვის გაფორმებულია მემორანდუმი შ.პ.ს“. BWC“ და შ.პ.ს არქიტექტურული საპროექტო კომპანია „სტოა“ და შ.პ.ს „აბრისი“ და შ.პ.ს. „ ARCHI TON” და შ.პ.ს “VERITAS GROUP „ შ.პ.ს „ოთხი ოთხი”უნივერსიტეტსა და აღნიშნულ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა პროგრამის განვითარების, სტუდენტების პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფისა და კურსდამთავრებულების მომავალი დასაქმების გარანტიაა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა;
- სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;

რეკომენდაციები

- სასურველია სპეციალობის ძირითად კურსებს დაემატოს არჩევითი დისციპლინა: არქიტექტურული ფოტოგრაფია;
- რეკომენდებულია სილაბუსებში ძირითადი და დამხმარე ლიტერატურას დაემატოს თანამედროვე ლიტერატურა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✔		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობის თანახმად „არქიტექტურის ბაკალავრი“ შეიძლება გახდეს საბაკალავრო საგანმანათლებო პროგრამაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხული სტუდენტი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების

საფუძველზე. აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და უცხო ენა. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. ბხსუ-ში ამჯერად, შიდა ტური ჩატარდება ხაზვაში. პროგრამის სპეციფიკა დიდწილად მისი პროფილითაა განპირობებული, პროგრამა ანიჭებს არქიტექტურის ბაკალავრის კვალიფიკაციას. აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების ცნობადობის და პოპულარიზაციის მიზნით უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შექმნილი აქვს სამუშაო ჯგუფები, რომლებიც წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით აწყობენ გასვლით საინფორმაციო შეხვედრებს აბიტურიენტებთან, აცნობენ მათ ინფორმაციას პროგრამების და მათზე დაშვების წინაპირობების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● საბაკალავრო პროგრამა „არქიტექტურა“ ● პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, რომელთა სტრუქტურა აკმაყოფილებს შესაბამის სტანდარტებს. მასში სავალდებულო და დამატებითი ან/და არჩევითი კომპონენტების თანაფარდობაა 240 კრედიტი: 1 კრედიტის მოცულობა -25 სთ. ძირითადი სასწავლო კურსები – 200 კრედიტი; საუნივერსიტეტო სავალდებულო საგნები–15; არჩევითი ბლოკები/კურსები-25 კრედიტი; სწავლება 8 სემესტრი. 1 სემესტრი-15 სასწავლო კვირა; 4 სასესიო კვირა.

პროგრამის შემადგენლობაში შემავალი სასწავლო კურსების კრედიტების შესაბამისად 240 კრედიტი განაწილებულია შემდეგნაირად:

სპეციალობის ძირითადი კურსები - 207 კრედიტი, წარმოდგენილია 49 სასწავლო კურსით (აქვე ავღნიშნავთ, რომ პროგრამის კურიკულუმში მითითებულია ციფრი „200“, რაც დაჯამებით მიღებულ შედეგს არ შეესაბამება. დაჯამებით მიღებულია „207“);

საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები - 13 კრედიტი, წარმოდგენილია 3 სასწავლო კურსით;

არჩევითი ბლოკები/კურსები - 20 კრედიტი, წარმოდგენილია 18 სასწავლო კურსით.

პროგრამის კომპონენტები, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, სტუდენტებში უზრუნველყოფს აუცილებელი ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების განვითარებას არქიტექტურული დაგეგმარებისა და პროექტირების საკითხებსა და შენობათა ტექნოლოგიების, არქიტექტურული ფიზიკის პრინციპების, თეორიისა და უახლესი კვლევითი მიღწევების ცოდნაში.

სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია პრაქტიკა, რომელიც ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ სხვადასხვა კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

ამდენად, პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, ექსპერტების აზრით, თანამედროვე ხარისხის არქიტექტორის აღსაზრდელად, მათი სივრცით-კომპოზიციური აზროვნების ჩამოსაყალიბებლად, სასურველია სპეციალობის ძირითად კურსებს დაემატოს არჩევითი დისციპლინა: არქიტექტურული ფოტოგრაფია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა „არქიტექტურა“
- თვითშეფასების ანგარიში
- სასწავლო კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები:

- სასურველია სპეციალობის ძირითად კურსებს დაემატოს არჩევითი დისციპლინა: არქიტექტურული ფოტოგრაფია.
- პროგრამის კურიკულუმის თავში მოცემულია კრედიტების შემდეგი გადანაწილება: 200 დარგობრივი, 25 არჩევითი და 15 საუნივერსიტეტო სავალდებულო; თუმცა, კურიკულუმის ბოლო გვერდებზე თუ საგნობრივ საკრედიტო რუკაში წარმოდგენილ სასწავლო კურსების მონაცემებს დავაჯამეთ, აღმოჩნდება, რომ 207 კრედიტი დარგობრივზე მოდის, 13 საუნივერსიტეტო და 20 არჩევით კურსებზე, რაც არ არის ურთიერთ შესაბამისობაში (აქვე ავღნიშნავთ, რომ პროგრამის ბოლოს რუკაში მიოთითებული ციფრი „200“ არ შეესაბამება სასწავლო კურსების მიხედვით დაგროვილ კრედიტების ჯამს, რაც შეადგენს „207“-ს).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში მოცემული სასწავლო კურსები ორიენტირებულია ზოგადად თეორიული ცოდნის შეძენაზე, დარგობრივი კომპეტენციების განვითარებაზე და პრაქტიკაში თეორიული ცოდნის გამოყენებაზე. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების მოცულობა ინდივიდუალურადაა განსაზღვრული, ითვალისწინებს სასწავლო კურსის

სპეციფიკას, მის თეორიულ თუ პრაქტიკულ ხასიათს. სასწავლო კურსების შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობა უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

კრედიტის მოცულობაში გათვალისწინებულია აუდიტორიული, საგამოცდო და დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილი საათები. ყველა სასწავლო კურსის აუდიტორიული დატვირთვის მოცულობა რეგულირდება შესაბამისი ნორმატივების მიხედვით. სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.

კურსების სილაბუსების სტრუქტურა კარგად შედგენილი და სტუდენტზე ორიენტირებულია, რადგან მოცემულია ყველა საჭირო ინფორმაცია, მაგალითად კურსის დასახელება, კურსის ტიპი, კრედიტების რაოდენობა (სწავლების საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები), კურსის ხელმძღვანელი, მიზანი, ფორმატი, სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, სწავლება-სწავლის მეთოდები, კურსის შინაარსი, ტრენინგი და სხვა რესურსები. პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. გარდა ბიბლიოთეკაში არსებული მატერიალური ფორმით წიგნებისა არის ასევე რიდერებსა და ელ.წიგნებზე წვდომის შესაძლებლობა, რაც ასევე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაშია ხელმისაწვდომი.

რაც შეეხება პროგრამის სტრუქტურას, საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია იმგვარად, რომ უზრუნველყოს სწავლების სხვადასხვა ფორმების გამოყენება, ადეკვატური კრედიტებისა და საათების განაწილება. სასწავლო კურსები მოიცავს 3 და მეტი კრედიტი მქონე დატვირთვებს. არის მხოლოდ ერთი 2 კრედიტიანი სასწავლო კურსი. პროგრამაში გათვალკისწინებულია 15 კრედიტიანი საგანი საბაკალავრო ნაშრომი მომზადება. მნიშვნელოვანი ყურადღება და სწავლების დრო დათმობილი აქვს არქიტექტურულ პროექირების შესწავლას, ასევე ეკოლოგიის საკითებსა და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას. რომელთა განაწილებაც ხდება კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების მიხედვით. საკონტაქტო საათები გადანაწილებულია ლოგიკურად, რაც ნიშნავს, რომ ისინი უფრო მეტია იმ კურსებში, რომლებსაც მეტი საკონტაქტო დრო სჭირდება, ხოლო ნაკლებია დამოუკიდებელ სამუშაოებზე ორიენტირებულ კურსებში.

გარკვეული შენიშვნებია საბაკალავრო ნაშრომის (15 კრედიტი) სილაბუსის მიმართ. მაგალითად საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე გასვლის წინაპირობად გათვალისწინებულია, რომ სტუდენტს: „ათვისებული უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სავალდებულო და არჩევითი კურსი (225 კრედიტი).“ ამავე დროს თვითონ საბაკალავრო

ნაშრომის მომზადებაზე დაშვების წინაპირობა განსაზღვრული არ არი, რაც წინააღმდეგობაში მოდის წინა აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემულ ერთ კონკრეტულ რეკომენდაციასთან, რომელიც ითვალისწინებდა, რომ საბაკალავრო ნაშრომის სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა უნდა ყოფილიყო „არქიტექტურული გეგმარების (მე-5 ნაწილი)“ გავლა.

ვფიქრობთ, რომ აღნიშნული მოყვანილი უნდა იქნას იმ რეკომენდაციასთან შესაბამისობაში, რომელიც გათვალისწინებული იყო წინა საბჭოს მიერ. გადასახედია დაშვების წინაპირობა და მოსაყვანია იგი როგორც აღნიშნულ რეკომენდაციასთან, ასევე უნდა იყოს სამართლიანი და ლოგიკური და არ უქმნიდეს სტუდენტს გარკვეულ უხერხულობებს, რაც მაგალითად მოიაზრებს მომზადებული ნაშრომის დაცვის შეუძლებლობას იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს დამამთავრებელ სემესტრში რომელიმე საგანში არ ექნება დადებითი შეფასება ანუ ვერ ჩააბარებს საგანს.

ძირითადად პროგრამის სასწავლო კურესების სილაბუსები შესაბამისობაშია მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებთან, თუმცა გვაქვს გარკვეული შენიშვნა/რეკმენდაციები, რომლებიც წარმოდგენილია შესაბამის პუნქტებში.

ინგლისური ენი სასწავლო პროგრამებშიც არის გარკვეული ხარვეზები - კურიკულუმში არაა გაწერილი კომპეტენციის დონეები და კურსების დასახელება არ ემთხვევა სილაბუსებში კურსების სახელწოდებებს; არც სილაბუსებში და არც კურიკულუმში არაა ინფორმაცია მოცემული დონის დამდგენი ტესტირების შესახებ და არც იმის შესახებ, ხდება თუ არა დონის განსაზღვრა ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული ქულებით; სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა ასევე არ შეესაბამება საგნის სწავლის შედეგის დონეს.

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გამართულ მუშაობას: პროექტორებით და სხვა სასწავლო რესურსით აღჭურვილი აუდიტორიები და ლაბორატორიები; უწყვეტი ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრი; ინდივიდუალური სახაზავი მაგიდებით აღჭურვილი სტუდია; საკონფერენციო და სასემინარო დარბაზები; უნივერსიტეტის ელექტორნულ ბაზაში (Smart) სასწავლო კურსების გახსნისას ლექტორების მიერ განთავსებული სასწავლო თემატიკის შესაბამისი სლაიდები; პრაკტიკული მეცადინეობებისათვისი საჭირო მასალების შესანახი ინდივიდუალური კარადები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა

• სასწავლო კურსების სილაბუსები
რეკომენდაციები: - „ფერთმცოდნეობის“ სასწავლო კურსი კურიკულუმში მოხსენიებულია ძირითად ბლოკში, ხოლო უშუალოდ სილაბუსში წერია, რომ შედის „საფაკულტეტო სავალდებულო“ ბლოკში; - სილაბუსებში არის შემთხვევები, როდესაც მოძველებული არაქართულენოვანი, კერძოდ კი რუსული ლიტერატურაა მითითებული ძირითად ნაწილში. რუსული ენის ცოდნის მოთხოვნა და ასევე სწავლება არ ჩანს პროგრამაში. უკეთესი იქნება მსგავსი ლიტერატურა გამოყენებული იქნას დამხმარედ ხოლო ძირითადი ლიტერატურა განახლდეს; - გასათვალისწინებელია წინა აკრედიტაციის მიერ გაცემული რეკომენდაცია და მოსაყვანია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი აღწერით ნაწილში წარმოდგენილის შესაბამისობაში; - ინგლისური ენის შემსწავლელი სასწავლო კურსებში ლიტერატურა უნდა მოვიდეს სწავლების დონესთან შესაბამისობაში და განსაზღვრული უნდა იქნას წინაპირობები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს საპროექტო და შემოქმედებით კომპონენტს, რომელიც პროგრამის ძირითად ბადეში ფორმულირებულია, როგორც **სასწავლო კურსი „საბაკალავრო ნაშრომი“.** თავისი შინაარსით ეს კომპონენტი არის პროგრამის დამასრულებელი ნაშრომი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებას და მათი პროგრესის დემონსტრირებას. ეს მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა, რათა შემოწმდეს საბაკალავრო პროგრამაზე სწავლისას მიღებული კომპეტენციები და მათი პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობები.

არქიტექტურის ისტორიისა და თეორიის, არქიტექტურული სტილების, თანამედროვე და მდგრადი არქიტექტურული მიღწევების შესწავლა უვითარებს სტუდენტს პროფესიის საფუძვლებისა და დღევანდელი გეგმარებითი და სივრცით-კომპოზიციური გადაწყვეტების საფუძვლიან ცოდნას.

პროგრამის დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ის გარემოება, რომ მესამე სემესტრიდან სტუდენტები იწყებენ ინდივიდუალური არქიტექტურული პროექტის შესრულებას, რაც მნიშვნელოვანად ამაღებს მომავალ არქიტექტორში პრაქტიკული მუშაობის უნარს.

წარმოდგენილი პრაქტიკული კომპონენტი იძლევა იმის საშუალებას, რომ შესრულებული და მიღწეული იქნას პროგრამით განსაზღვრული მიზნები და სტუდენტს აძლევს საშუალებას გავიდეს პროგრამის სწავლის შედეგებზე.

პროგრამა ასევე ითვალისწინებს პროფესიული პრაქტიკის კომპონენტს, რომლის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება ეძლევათ უმაღლეს სასწავლებელთან გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში პრაქტიკა გაიარონ შესაბამისი სფეროს საწარმოებსა და ორგანიზაციებში. უმაღლესი სასწავლო დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტების სხვადასხვა პროექტებში ჩართულობას, როგორიცაა საერთაშორისო თუ ადგილობრივი ფესტივალები, გამოფენები, კონკურსები.

წარმოდგენილი მემორანდუმები სრულად ნათელს ვერ ფენს თუ რა პირობით არის ისინი დადებული და რა დოზით მოიაზრებენ სტუდენტების პრაქტიკულ საქმიანობაში ჩართვას; სამშაო გარემოს გაცნობას და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას; არ ჩანს თუ ვინ ხელმძღვანელობს მათ ამ პერიოდში. თუმცა ინტერვიუების დროს გამოიკვეთა რომ აღნიშნული მოიაზრებს სტუდენტთა პრატიკას - არქიტექტურული პროექტირების სამუშაობში ჩართვას და შემდგომში (პროგრამით გათვალისწინებული კურსების დასრულების შემდეგ) მათ დასაქმებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ● საბაკალავრო პროგრამა ● სასწავლო კურსების სილაბუსები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): პროგრამის დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ის გარემოება, რომ მესამე სემესტრიდან სტუდენტები იწყებენ ინდივიდუალური არქიტექტურული პროექტის შესრულებას.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში გამოყენებულია სწავლების სხვადასხვა მეთოდები, რაც გაწერილია სილაბუსებში და რაც შესაბამისობაშია სასწავლო კურსებთან. გამოყენებული მეთოდები იძლევა იმის საშუალებას, რომ სტუდენტისთვის ცოდნის გადასაცემად გამოყენებული იქნას სხვადასხვაგვარი მიდგომა. ასევე ემ მეთოდები მიმართულია უნარჩვევების გამომუშავებაზე, რაც არა მხოლოდ ცოდნის გადაცემის შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს, არამედ მას აქვს შესაძლებლობა სწავლის პროცესშივე გამოავლინოს მიღებული ცოდნის გამოყენების უნარი, გადმოცემის უნარი და სხვ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● საბაკალავრო პროგრამა ● სასწავლო კურსების სილაბუსები

• თვითშეფასების ანგარიში
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2016 წლის 18 აგვისტოს №102/ნ ბრძანებებით და ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის დადგენილება №04-01/04 „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“, განსაზღვრული პუნქტების გათვალისწინებით. პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად სტუდენტების შეფასება ხდება ხუთი სახის დადებითი ((A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა, (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა, (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა, (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70ქულა, (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა) და ორი სახის უარყოფითი ((FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა და (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები) შეფასებით. (FX) ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. ხოლო (F) ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური

